კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიეროღონისძიებების საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

1. სამეცნიერო კვლევითი პროექტების შემთხვევაში აუცილებელია თუ არა თანამონაწილე ორგანიზაცია?

პასუხი: მხოლოდ ერთობლივი პროექტის შემთხვევაში შესაძლებელია პროექტში ჩართული იყოს თანამონაწილე ორგანიზაცია.

2. პირი მონაწილეობს მიმდინარე საგრანტო პროექტებში, აქვს თუ არა უფლება მონაწილეობა მიიღოს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევით პროექტში ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის სტატუსით?

პასუხი: კონკურსის მარეგულირებელი დოკუმენტებით კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსისთვის შეზღუდვა განსაზღვრული არ არის.

3. საჭიროა თუ არა საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაცია დარეგისტრირდეს Gmus-ში?

პასუხი: საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაციის დარეგისტრირება GMUS-ში საჭირო არ არის, ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია უნდა მიუთითოთ შესაბამის ველში და ატვირთოთ თანხმობის წერილი.

4. პროექტში ჩართულ უცხოელ (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერზე ხელფასის გაწერა თუ შეიძლება? და თუ კი, რომელ კატეგორიაში?

პასუხი: პროექტში ჩართულ უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერზე თუ იგი წარმოადგენს ძირითად პერსონალს უნდა გაიცეს ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება შესაბამისი მუხლიდან.

იმ შემთხვევაში თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე გაფორმდება როგორც დამხმარე პერსონალი მასზე უნდა გაიცეს ხელფასი დამხმარე პერსონალის საგრანტო დაფინანსების მუხლიდან.

5. საპროექტო განაცხადის წარდგენის დროს შესაძლებელია თუ არა ორ საპროექტო განაცხადში ერთიდაიგივე უცხოელი (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერის ჩართულობა?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

6. უცხოელი (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერი აუცილებელია თუ არა დარეგისტრირდეს GMUS-ში?

პასუხი: უცხოელი (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერი აუცილებელია დარეგისტრირდეს GMUS-ში და შექმნას მეცნიერის პროფილი, საიდანაც ინგლისურ ენაზე CV-ს დააგენერირებს. ქართულ ენაზე CV ნებისმიერ ფორმატით შეგიძლიათ ატვირთოთ.